




საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



28/02/2017

4-07-4-201702282357



N 4

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4

2017 წლის 28 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13
 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29.07.2014 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.112.016168) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ, მესამე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა/შეცვლა, დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისათვის შესაბამისი კატეგორიის მიწის მინიჭების და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ ინიციატივის განხილვა და შესაბამისი შუამდგომლობის წარდგენა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
 გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო